



# 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი

იანვარი

2020



[www.laf.ge](http://www.laf.ge)

საბურთალოს ქ. 32

0160 თბილისი, საქართველო

*„არიან პიროვნებანი, რომელთა მარტო სახელის მოგონებაზე გულზე როგორღაც მომეშვება ხოლმე. მიქარწყლდება უსასოება და უიმედობა, დარდისაგან მრავალ ნაოჭებით დასერილი შუბლი მეხსნება. ამ სახელებზე მამვრალ მგზავრივით ისვენებს სული”*

*[კოტე მაცაშვილი]*

## სარჩვი

1. ფონდის შესახებ.....	4
2. ფონდის მენეჯმენტი .....	5
3. პარტნიორები.....	5
3. ფონდის მიერ 2019 წლის განხორციელებული აქტივობები.....	6
3.1. აკადემიკოს ლევან ალექსიძისადმი მიძღვნილი კონფერენცია სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების თემაზე.....	6
3.2. თსუ სტუდენტების წარმატება საერთაშორისო ჰუმანიტარულ და ლტოლვილთა სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესში .....	8
3.3. აკადემიკოს ლევან ალექსიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ჟენევის 1949 წლის კონვენციების თემაზე .....	10
3.4. მიგრაცია – გენდერული ურთიერთობა: გამოწვევები და შესაძლებლობები .	11
3.6. ლევან ალექსიძის ლექციების სერიის მეორე ლექციას საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა .....	13
3.7. აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ფინალში ოთხი ქვეყანა წარსდგა .....	15
4. აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდსა და ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა .....	16
5. ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის პუბლიკაციათა სერია .....	17
5.1. ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალის დაბადება.....	18
5.2. წიგნის „სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი“ პრეზენტაცია ...	20

## 1. ფონდის შესახებ

ა(ა)იპ აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი (შემდგომში, *ფონდი*) დაფუძნდა 2019 წლის 18 სექტემბერს. ფონდის საქმიანობის მიზანია: საერთაშორისო სამართლით დაინტერესებული იურისტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, სამართლებრივი განათლების მიღების ალტერნატიული საშუალებების შექმნა, საზოგადოების სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო სისტემაში საერთაშორისო სამართლის პოპულარიზაციის ხელშეწყობა და საერთაშორისო სამართლის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება საქართველოში.

მიზნების მისაღწევად ფონდი ხელს უწყობს: სამანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას საერთაშორისო სამართლით დაინტერესებული იურისტების პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, იურიდიული ბიბლიოთეკებისა და ელექტრონული საინფორმაციო ცენტრების შექმნას; ასევე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემების განვითარებას.

გარდა ამისა, ფონდი ხელს უწყობს მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების შექმნას საერთაშორისო სამართლის დარგებში, კვლევით, სასწავლო, სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას.

ამავდროულად, ფონდის მიზნის მიღწევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელისა და ნაშრომების პოპულარიზაცია, სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლითი პროგრამების განვითარება, ასევე, სტუდენტთა მოტივაციისა და წახალისების სისტემის შექმნა.

აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ინიციატივით დაფუძნდა.

## 2. ფონდის მენეჯმენტი

აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდს ჰყავს გამგეობა, რომლის შემადგენლობა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა განახლდეს ორი წევრით. გამგეობის საქმიანობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე.

გამგეობათა გადაწყვეტათა აღსრულება, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება ხუთი წლის ვადით არჩეულ დირექტორს.

ფონდის დამფუძნებელი - მარინა მესხი

ფონდის დირექტორი - მარიკა ჭუმბურიძე

ფონდის გამგეობის თავმჯდომარე - ნატო გაგნიძე

## 3. პარტნიორები

აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი, საერთაშორისო სამართლით დაინტერესებული იურისტების პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში, სამანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობის ხელის შეწყობის მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, ასევე, ფონდს ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც თანამშრომლობა მემორანდუმების ფარგლებშიც მიმდინარეობს.



### 3. ფონდის მიერ 2019 წლის განხორციელებული აქტივობები

#### 3.1. აკადემიკოს ლევან ალექსიძისადმი მიძღვნილი კონფერენცია სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების თემაზე

*აგვისტო, 2019*

თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების დღე აღნიშნა. სამეცნიერო კონფერენცია აკადემიკოს ლევან ალექსიძეს, საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლის დამფუძნებელსა და თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორს მიემდგვნა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს ოფისისა და მისი ხელმძღვანელის, დოქტორ კაუპო კანდის მონაწილეობით ჩატარებული სამეცნიერო



კონფერენციის ინიციატორი თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ქეთევან ხუციშვილია.

კონფერენციის გახსნას თსუ რექტორის მოადგილე, პროფესორი ნინო ოკრიბელაშვილი, საქართველოს საგარეო

საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე და თბილისის მერის მოადგილე, პროფესორი მაია ბითაძე ესწრებოდნენ. თსუ რექტორის მოადგილემ ისაუბრა აკადემიკოს ლევან ალექსიძის მიერ საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლის დაფუძნებისა და წარმატებით განვითარების შესახებ.

პროფესორმა ნინო ოკრიბელაშვილმა, ასევე, ხაზი გაუსვა აკადემიკოს ლევან ალექსიძის უდიდეს დამსახურებას საქართველოს საერთაშორისო არენაზე

საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტად დამკვიდრებისა და საქართველოში იურიდიული განათლების ხელშეწყობის საქმეში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, დოქტორ კაუპო კანდიმ, ასევე, მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონფერენციის მონაწილეებს და ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზებისა და ინიცირების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ამასთანავე, ბატონმა კანდიმ სტუდენტებს პროფესიული და პრაქტიკული რჩევები გაუზიარა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლის ახალგაზრდა მკვლევარებისათვის.

კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა საკითხებზე, როგორცაა გარდამავალი მართლმსაჯულება და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, სამშვიდობო მისიაზე თავდასხმა, როგორც ომის დანაშაული, აგრესიის დანაშაულთან დაკავშირებული სირთულეები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის დისკრეციის ფარგლები, საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის საფუძვლით პირის ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვისას მტკიცების სტანდარტი, სახელმწიფოთა მიერ დაცვის ვალდებულება (RtoP) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან ურთიერთობის ჭრილში, ავტონომიური იარაღის სისტემების კანონიერება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, სხვ.



### 3.2. თსუ სტუდენტების წარმატება საერთაშორისო ჰუმანიტარულ და ლტოლვილთა სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესში

ოქტომბერი, 2019

საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლის დამფუძნებელს, აკადემიკოს ლევან ალექსიძეს მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის წარმატება საერთო ევროპულ საერთაშორისო ჰუმანიტარულ და ლტოლვილთა სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესში, სადაც გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, გუნდის წევრმა, იოსებ ედიშერაშვილმა კი კონკურსის საუკეთესო მომხსენებლის ჯილდო დაიმსახურა. თსუ-ს გუნდი ჯერ კიდევ 2019 წლის ზაფხულში აკადემიკოს.

ლევან ალექსიძისა და თსუ საერთაშორისო სისხლის სამართლის ცენტრის დირექტორის, პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ხელმძღვანელობით შეირჩა. თსუ-ს გუნდს წარმოადგენდნენ საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურის სტუდენტები თამარ რუსეიშვილი,



იოსებ ედიშერაშვილი და ანა თაბაგარი, გუნდის მწვრთნელი კი გახლდათ თსუ მაგისტრი რევაზ ტყემალაძე.

საერთაშორისო კონკურსს ლუბლიანას უნივერსიტეტმა სლოვენიაში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან თანამშრომლობით უმასპინძლა.



იმიტირებული სასამართლო პროცესის ნახევარფინალური და ფინალური რაუნდები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხდომის ფორმატში ჩატარდა. მონაწილეები სხვა ექსპერტებთან ერთად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყოფილმა მოსამართლე მაურო პოლიტიმ, სედრიკ კოტემ (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი) შეაფასეს. ქართველმა სტუდენტებმა საერთაშორისო სამართლის ისეთი აქტუალური საკითხების გარშემო იმუშავეს, როგორცაა საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის საფუძველზე პირის ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვა, შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში გარემოსთვის მიყენებული ზიანის კანონიერება, კიბერ-თავდასხმა, მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, თავშესაფრის მაძიებელთა დიდი ნაკადების მართვა და ნებაყოფლობითი რეპატრიაცია წარმოშობის სახელმწიფოში.

კონკურსი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა. პროფესორი ქეთევან ხუციშვილი ასევე მიწვეული გახლდათ კვირეულის ფორმატში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში იძულებითი გადაადგილება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად: დაცვის გარანტიები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში და მისი მნიშვნელობა "მონაწილეობისთვის. მისი მოხსენება იძულებითი გადაადგილების კონტექსტში საერთაშორისო ჰუმანიტარულ, ადამიანის უფლებებისა და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების ანალიზს მიეძღვნა. ქეთევან ხუციშვილმა ევროპის რეგიონის უნივერსიტეტებში საერთაშორისო სისხლის სამართლის, ჰუმანიტარული, მიგრაციისა და ლტოლვილთა სამართლის სწავლებისადმი მიძღვნილ სამუშაო შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა და წარმოადგინა აკადემიკოს ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით სამართლის ამ დარგებში შემოღებული სწავლებისა და კვლევის მიმართულებები და პრაქტიკა.

### 3.3. აკადემიკოს ლევან ალექსიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ჟენევის 1949 წლის კონვენციების თემაზე

ოქტომბერი, 2019

25 ოქტომბერს, ჟენევის 1949 წლის კონვენციების 70 წლის აღსანიშნავად, გაიმართა საერთაშორისო თემატური კონფერენცია “ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს”.

საერთაშორისო კონფერენცია აკადემიკოს ლევან ალექსიძეს, საქართველოში



საერთაშორისო სამართლის სკოლის დამფუძნებელს მიეძღვნა. კონფერენციის ფარგლებში კვლევის შედეგები წარმოადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართულ-ამერიკული

უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, გოეთეს უნივერსიტეტის (ფრანკფურტი, გერმანია), ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის (ოდერის ფრანკფურტი, გერმანია), წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას ოფისების, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

კონფერენციის მსვლელობისას სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარებმა განიხილეს გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მრავალი პრობლემური საკითხი შეიარაღებული კონფლიქტის დროს. დისკუსიები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში ნაწარმოები კვლევების გარშემო წარიმართა.

თემატური კონფერენცია, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით, თსუ საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად იყო ორგანიზებული.

### 3.4. მიგრაცია – გენდერული ურთიერთობა: გამოწვევები და შესაძლებლობები

*ოქტომბერი, 2019*

29 ოქტომბერს, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) და სისხლის სამართლის საერთაშორისო ცენტრის (თსუ) თანამშრომლობით გაიმართა საჯარო დისკუსია: მიგრაცია – გენდერული ურთიერთობა: გამოწვევები და შესაძლებლობები.

საჯარო დისკუსიაში განხილული იყო მიგრაციის გამოწვევები ქალთა, კაცთა, ოჯახთა, აგრეთვე

მიგრაციის პოლიტიკის, დიასპორული ურთიერთობების, ოჯახის გაერთიანება და განცალკევება.

კატარინა გრაბსკა ერასმუსის უნივერსიტეტიდან,



ნიდერლანდები, პროფესორი დოქტორი ქეთევან ხუციშვილი (თსუ / GAU) და ქეთევან გომელაური ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრიდან, გლობალური და

ქართული კონტექსტით განიხილეს გენდერისა და მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული საკითხები.

### 3.5. ლევან ალექსიძის ლექციების სერიის საინაუგურაციო ლექცია ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორმა ჩაატარა

*დეკემბერი, 2019*

ლევან ალექსიძის მემკვიდრეობის გასაგრძელებლად და მისი სახელის უკვდავსაყოფად დაარსდა ლევან ალექსიძის ლექციების სერია, რომლის მიზანია საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა თემაზე საქართველოსა თუ საზღვარგარეთ საჯარო ლექციების ორგანიზება აკადემიკოს ლევან ალექსიძის პატივსაცემად და მისი სახელის ქვეშ.

ამ ლექციების სერიის საინაუგურაციო ლექცია 2019 წლის 16 დეკემბერს, თბილისში, ლეიდენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) პროფესორმა და სამართლის სკოლის ყოფილმა დეკანმა, აკადემიკოს ლევან ალექსიძის ნაცნობმა, პროფესორმა რიკ ლოუსენმა ჩაატარა.

ლექცია ეხებოდა მიგრანტების დაცვას დისკრიმინაციისაგან. ლექციის ფარგლებში პროფესორმა ლოუსენმა ყურადღება გაამახვილა აკადემიკოს ლევან ალექსიძის დვაწლზე ზოგადად დისკრიმინაციასთან ბრძოლაში, მან პარალელი გაავლო პროფესორ კლევრინგასთან, რომელიც ნიდერლანდების ნაზისტების მიერ ოკუპაციისას საუნივერსიტეტო სივრცეში ებრაელთა წინააღმდეგ დისკრიმინაციას აპროტესტებდა და ამ ქრილში ისაუბრა ზოგადად თანამედროვეობაში დისკრიმინაციის აღმოფრხვრის მნიშვნელობაზე და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის როლზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით.

ლექცია სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებისაგან შემდგარ აუდიტორიაში ჩატარდა. დისკუსიის დროს პროფესორმა ლოუსენმა ასევე ყურადღება გაამახვილა მგირანტთა კრიზისზე ევროპაში, რასისტულ განწყობებსა და იმ სტერეოტიპებზე, რაც თან სდევს მგირანტთა დიდი ნაკადების შემოდინებას ქვეყანაში.

### 3.6. ლევან ალექსიძის ლექციების სერიის მეორე ლექციას საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა

*დეკემბერი, 2019*

ლევან ალექსიძის ლექციების სერიის მეორე ლექციას საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა.

ლექციას სახელწოდებით „აკადემიკოსი ლევან ალექსიძე და საერთაშორისო



სამართლის სკოლის განვითარება საქართველოში” საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე და პროფესორი ქეთევან ხუციშვილი წარუძღვნენ. ლექციის ფარგლებში ყურადღება დაეთმო პროფესორ ლევან ალექსიძის წვლილს 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში შეტანილი მთელი რიგი საკითხების შემუშავებაში. აღინიშნა ისიც, რომ 1991 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ლევან ალექსიძეს, და იმდროინდელ იუსტიციის



მინისტრს, ჯონი ხეცურიანს, დაავალა იმავე წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებზე დაფუძნებით შეედგინათ აქტი, რომელიც გამოხატავდა საქართველოს მოსახლეობის მტკიცე და ერთსულოვან ნებას ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი შეიცავდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ დებულებებს, მათ შორის ლ. ალექსიძის მრავალი წლის განმავლობაში ნაფიქრალ და პუბლიკაციებში ასახულ კონცეფციას საერთაშორისო სამართლის პრიმატის საქართველოში უზენაესი იურიდიული ძალის მქონე პრინციპად გამოცხადების შესახებ. აქტის მიხედვით,

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ



პრინციპად, რამაც შემდგომი განვითარება პოვა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში.

აკადემიკოსი ლევან ალექსიძის მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების დარეგულირების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლების ძიებისა და დანერგვის პროცესში, რუსეთის მიერ საქართველოში 2008 წლის აგვისტოში შეჭრისა და ოკუპაციის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების წინა პლანზე წამოწევისა და თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობის ოფიციალური დოკუმენტების ჭრილში იქნა

წარმოჩენილი, რომლებიც პროფესორ ლევან ალექსიძის მიერ ან მისი თანაავტორობით არის შექმნილი.

### 3.7. აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ფინალში ოთხი ქვეყანა წარსდგა

*დეკემბერი, 2019*

აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებულ პროცესებს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უმასპინძლა. ამ საერთაშორისო კონკურსის ფინალურ რაუნდში მონაწილეობა მიიღეს გუნდებმა უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოსა და თურქეთიდან.

ლევან ალექსიძემ, როგორც გაეროს ადამიანის უფლებების დეპარტამენტის საკონსულტაციო

მომსახურებისა და სპეციალური დავალებების სექციის ხელმძღვანელმა, 1975 წლის ნოემბერში ტუნისში პირველი საერთაშორისო სემინარი ჩაატარა თემაზე „მიგრანტი მუშების (მუშაკების) ადამიანის უფლებები“. სემინარზე, რომელსაც 30-მდე სახელმწიფოს



ექსპერტი და მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, პროფესორი ალექსიძე გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის რანგში სემინარის წარმმართველი და დასკვნითი მოხსენების ავტორი გახლდათ.



ამ სემინარის შედეგად მიღებული რეკომენდაციები მოგვიანებით აისახა მრავალ საერთაშორისო რეგიონულ და უნივერსალურ ინსტრუმენტში. ამასთან, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებიდან 12 წლის განმავლობაში რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის წევრი გახლდათ.

სწორედ ამიტომ საერთაშორისო კონკურსის 2019 წლის თემად მიგრაცია და ლტოლვილთა სამართალი შეირჩა. ავსტრიის, ნიდერლანდებისა და საქართველოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მაღალი რანგის ჟიურის წინაშე კონკურსის მიმდინარე კვირას ჩატარებით კი ასევე აღინიშნა მიგრანტთა საერთაშორისო დღე.

აკადემიკოს ლევან ალექსიძის პროფესიული მემკვიდრეობისა და მისი დაფუძნებული ქართული საერთაშორისო სამართლის სკოლის გასაგრძელებლად, ლევან ალექსიძის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ინიციატივით დაფუძნდა.

თბილისში ამ საერთაშორისო კონკურსის ჩატარება აკადემიკოს ლევან ალექსიძის ფონდის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

#### **4. აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდსა და ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა**

2019 წლის 25 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ჩატარდა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც თსუ-ის საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სასწავლო და კვლევითი ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ხათუნა თოთლაძემ

წიკითხეს ლექცია თემაზე „აკადემიკოსი ლევან ალექსიძე და საერთაშორისო სამართლის სკოლის განვითარება საქართველოში“.

შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდსა და საქართველოს საგარეო საქმეთა



სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტს შორის.

შეხვედრას ესწრებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

შეხვედრა განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტისა და აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის თანამშრომლობით.

## 5. ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის პუბლიკაციათა სერია

ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის პუბლიკაციათა სერია თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართლის სხვადასხვა დარგის აქტუალურ საკითხებზე გამოცემულ მონოგრაფიებს, ესეების კრებულებს, ჟურნალებს, კონფერენციის მასალებსა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურას მოიცავს. პუბლიკაციების სერია აკადემიკოს ლევან ალექსიძის ფონდის მხარდაჭერით გამოიცემა.

## 5.1. ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალის დაბადება

ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი სამეცნიერო ხასიათის ორენოვანი პერიოდული გამოცემაა. ჟურნალი 6 თვეში ერთხელ გამოიცემა და ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის პუბლიკაციათა სერიის ნაწილია, რომელიც აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის მხარდაჭერით გამოიცემა.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი იურისტებისა და მკითხველთა ფართო წრისთვის გამიზნულ ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალში წარმოდგენილია საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს დათმობილი ნაშრომები. სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას.

ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, რომელიც პროფესორ ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით 1996-2018 წწ. გამოცემული „საერთაშორისო სამართლის ჟურნალის“ სულისკვეთებას გამოხატავს და განაგრძობს, გამოიცემა აკადემიკოს ალექსიძის საქმისადმი თავდადებული ადამიანების ერთობლივი ძალისხმევით. განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნიტ ჰელგა კლაინს, აკადემიკოს ლევან ალექსიძის დიდი ხნის ერთგულ მეგობარსა და კოლეგას, 1970-იან წლებში ჟენევაში, გაეროს შტაბ-ბინაში, მათი მუშაობის დროიდან. გულითადად ვაფასებთ ჟურნალის სტატიების ინგლისურ ვერსიაზე ჰელგა კლაინის მოწოდებულ კომენტარებს.

პროფესორმა ლევან ალექსიძემ საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლას საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ჩაუყარა საფუძველი. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბების შემდეგ მან საერთაშორისო სამართლის ჟურნალი დააარსა შემდეგი სარედაქციო კოლეგიით: ლევან ალექსიძე, ბაისა ვაკ-ვოია, ირაკლი

შაფაქიძე, მარინე კვაჭაძე, გიორგი ინწკირველი, ალექსანდრე რონდელი, ავთანდილ დემეტრაშვილი, ზურაბ დავითაშვილი, დავით უსუფაშვილი, იური კოლოსოვი, მახკამ მახმუდოვი, ნორიარ აივაზიანი, ალექსანდრე ზადაროჟნი.


საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლის დამფუძნებლის დღის წესრიგში მრავალ სხვა გამოწვევასთან ერთად საერთაშორისო სამართლის ქართული პროფესიული ლექსიკის დამკვიდრებაც იდგა. ამასთან, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის საზრუნავი დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოში საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მომზადებასთან ერთად მათი საქართველოს მიღმა ცნობადობის უზრუნველყოფა და მათი სამეცნიერო თეზების უცხოელ მკითხველამდე მიტანაც გახლდათ.

სწორედ ამიტომ 1996 წელს საერთაშორისო სამართლის ჟურნალის პირველი ნომერი სამ ენაზე გამოვიდა. პროფესორმა ლევან ალექსიძემ საერთაშორისო სამართლის ჟურნალის ყველა ნომერი 1996-2018 წლებში ქართულთან ერთად თავდაპირველად რუსულ და ინგლისურ, მოგვიანებით კი – ინგლისურ ენაზე გამოსცა. სამწუხაროდ, 2019 წელს მისი ხელმძღვანელობით საერთაშორისო სამართლის ჟურნალი ვეღარ გამოვიდა. ბატონი ლევანი მომავალზე საუბრებში მისთვის ჩვეული დელიკატურობით მიზიარებდა საერთაშორისო სამართლის სკოლის საქართველოში გაგრძელების ხედვას. რამდენიმე დისკუსიაში მონაწილეობდა ასევე ჩემი მასწავლებელი და ჩემი და აკადემიკოს ლევან ალექსიძის მეგობარი, პროფესორი გერი სიმფსონი ლონდონის პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების სკოლიდან. მისი რჩევა იყო, პროფესორ ალექსიძის მიერ დაფუძნებული ჟურნალის დასახელება, რომელიც ქართველ იურისტებს უცხოენოვანი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომს ხდიდა, ყოფილიყო უფრო მეტად დაკავშირებული საქართველოსთან. პროფესიულ გზაზე ბატონი ლევანისგან სამომავლო დანაბარებისა და პროფესორ გერი სიმფსონის რჩევების გათვალისწინებით დაიბადა ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი.

## 5.2. წიგნის „სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი“ პრეზენტაცია

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი სწრაფად ვითარდება და სამართლებრივი კონცეფციების ახლებურ გადაწყვეტას ხშირად საჭიროებს. სახელმწიფოთა პრაქტიკის განვითარების პარალელურად მეცნიერული კვლევა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის, ცალკეული დარგების ფარგლებში წამოჭრილი საკითხების დროული სიღრმისეული კვლევა როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის სწორად განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებით დასაფასებელი საბა ფიფიას მოტივაცია, რაც გამოცემაზე „სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი“ მუშაობისთვის ბიძგის მიმცემი გახდა. ავტორმა გამოცემის მოსამზადებლად კვლევა აწარმოა



როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს მიღმა, არაერთ სამეცნიერო დაწესებულებაში როგორც გერმანიაში და ისრაელში, ისე ნიდერლანდებში. კვლევის პროცესში მოხდა სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის აქტუალური საკითხების სერუპულოზული ანალიზი და საქართველოსთვის საჭირობოტო სამართლებრივი საკითხების ქრილში გადაწყვეტის ძიება.

წინამდებარე პუბლიკაცია ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების სამართლებრივი ასპექტების ფართო წრეს აანალიზებს პრაქტიკული მაგალითების განხილვის ფონზე. საკითხები, რომელიც ავტორის მიერ იქნა გამოკვლეული შეეხება ოკუპაციის სამართლის ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორცაა სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის

წყაროები, ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სასამართლო სისტემის ადმინისტრირება, ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვითი რეჟიმები, ისევე როგორც საკუთრების უფლების დაცვა, ტერიტორიის კონტროლის სხვადასხვა სტანდარტი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი დასახლებებისა და გაეროს მიერ სანქცირებული ოკუპაციის საკითხები. თანამედროვე სამეცნიერო მასალის, სამართლის შესაბამისი წყაროებისა და მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში სამხედრო ოკუპაციის შემთხვევების ანალიზისას ავტორმა აკადემიური კვლევის მაღალი სტანდარტის დაცვით იმუშავა საქართველოში მკითხველისთვის ჩვენი ქვეყნისთვის ამ ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხის მაქსიმალურად ცხადად წარმოსადგენად.

ნაშრომის შესახებ მისი რედაქტორი, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის დაფუძნების ინიციატივის ავტორი, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, აღნიშნავს: „მეამაყება ჩემი ყოფილი სტუდენტისა და ახალგაზრდა კოლეგის, სამართლის დოქტორ საბა ფიფიას ამ სიღრმისეული ნაშრომის გამოცემისთვის მომზადების პროცესში რედაქტორის ფუნქციის შესრულება. ამ აღმატებულ განცდას თან სდევს მეორე, ასევე დიდი, თუმცა დანაკლისის შევსების შეუძლებლობით გაჟღენთილი განცდა, რაც ამ წიგნის გამოქვეყნებისთვის მომზადების პროცესში აკადემიკოს ლევან ალექსიძის (5 ივლისი, 1926 - 31 ივლისი, 2019) გვერდში დგომის შეუძლებლობით არის გამოწვეული. პროფესორი ლევან ალექსიძე ახალგაზრდა მკვლევარის საბა ფიფიას მიერ საკვლევი თემით დაინტერესების დროიდან ჩემთან ერთად მხარს უჭერდა და ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მკვლევარს როგორც უფროსი ფასდაუდებელი მეგობარი, მენტორი და საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლის დამფუძნებელი. ბატონი ლევანის ფასდაუდებელი პროფესიული და ადამიანური უპირობო გვერდში დგომით შეძლო წიგნის ავტორმა იმ კვლევით დაწესებულებებში საქართველოს ფარგლებს მიღმა მუშაობა, რომლებშიც ამ პუბლიკაციის დიდი ნაწილია დამუშავებული.“

ეს გამოცემა რედაქტორისა და ავტორისგან აკადემიკოს ლევან ალექსიძეს ეძღვნება და ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის პუბლიკაციათა სერიის პირველი გამოცემაა.